საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი

MINISTER OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

KA030198896282518

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/5962 **01 / თებერვალი / 2018 წ.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ კახა კალაძეს

ბატონო კახა,

2017 - 2018 წლებში ქვეყნის მასშტაბით შეიმჩნევა წითელას შემთხვევების მნიშვნელოვანი მატება. საყურადღებოა, რომ 2018 წლის 29 იანვრის მდგომარეობით უკვე აღირიცხა წითელას 102 შემთხვევა, მაშინ როცა 2017 წელს დაფიქსირებული იყო წითელას 94 შემთხვევა. ამასთან, ასაკობრივი დინამიკის მიხედვით, 2017 წლის დეკემბერსა და 2018 წლის იანვარში, შემთხვევათა 40 % მოდის 0-5 წლამდე ასაკის ბავშვებზე, შემთხვევების 22% კი - 5-14 წლის და 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფზე.

საქართველოს მოსახლეობის დაცვა წითელასგან და მოსალოდნელი ეპიდაფეთქების შეკავება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებაში შეიქმნება სათანადო იმუნური ფენა. აღნიშნულის მიღწევის ერთადერთ გზას წარმოადგენს ბავშვების აცრებით მოცვის მაღალი მაჩვენებლების მიღწევა (არანაკლებ 95%) და აუცრელი ან აცრის უცნობი სტატუსის მქონე პირთა იდენტიფიცირება და ვაქცინაცია.

შესაბამისად, ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი თანადგომა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში წითელას საწინააღმდეგო აქტივობების დროული განხორციელების უზრუნველსაყოფად. აქვე წარმოგიდგენთ იმ ღონისძიებების ჩამონათვალს, რომლებიც უნდა გატარდეს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში წითელას გავრცელების შესამცირებლად:

ა)აღსაზრდელების წითელას საწინააღმდეგო აცრის სტატუსის განსაზღვრა დაწესებულებაში არსებული „ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობის“ (სამედიცინო დოკუმენტაცია ფორმა N IV-100/ა) მიხედვით, ხოლო დოკუმენტის არარსებობის შემთხვევაში, მოძიებულ იქნეს სათანადო ინფორმაცია;

ბ)ყველა აუცრელი ან არასრულად აცრილი აღსაზრდელის მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდება აცრის ჩატარების აუცილებლობის შესახებ და აცრის დამადასტურებელი ცნობის დაწესებულებაში წარმოდგენის მოთხოვნა;

გ)აღსაზრდელის მიერ სააღმზრდელო პროცესის გაცდენის რეალური მიზეზის დადგენა, წითელას შესაძლო შემთხვევების გამოსავლენად;

დ)დაწესებულებაში წითელას გამოვლენის შემთხვევაში, შეტყობინების გაგზავნა მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრებში, კონტაქტში მყოფი პირების ასაცრელად;

ე)ვირუსული დაავადების რომელიმე საეჭვო ნიშნის არსებობისას აღსაზრდელის/პედაგოგის (თანამშრომლის) არდაშვება დაწესებულებაში.

ვფიქრობთ, ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ, თავიდან ავიცილოთ წითელას შემდგომი გავრცელება.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

მინისტრი  დავით სერგეენკო